ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 11

24 თებერვალი 2026 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:30 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის და ეკონომიკური განვითარების,საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურტერთობების კომისეიბთან ერთად.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე-ნინო ვაშაკიძე
სხდომას ესწრებოდნენ
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე.
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი, ბექა მიქაუტაძე,ზურაბ აბაშიძე, ლევან აბაშიძე,ალექსანდრე მუკათარიძე, ვაჟა კოკაია, დავით ფანჯაკიძე, ირაკლი ბენდელიანი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომას უძღვებოდა ლევან არველაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. საკრ.№12-0326051112-03 (11-01260514020 20/02/2026; საკრ.№15-0326054173-03 (11-01260544580 23/02/2026)
2. ,,ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე". საკრ.№12-032604988-03 18/02/2026
3. ,,ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N29 / ხიდის ქუჩა N1 / ზვიად გამსახურდიას სანაპირო N58-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.004.01.574) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე". საკრ.№12-032604988-03 18/02/2026
4. ,,ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.066) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე". საკრ.№12-032604988-03 18/02/2026
5. ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N330 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.306.01.07.330) და ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N34-ში მდებარე N75 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.031.01.01.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032603764-03 6/02/2026
6. ქ. თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N11-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.003.030) პირდაპირი განკარგვის წესით, ნელი გიორგობიანისთვის (პ/ნ: 01024000911) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032604045-03 9/02/2026
7. ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 392 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.029.055) 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით,

იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის გადაცემის თაობაზე. საკრ.№12-032604963-03 18/02/2026

8. ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 58 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიემჯი 555"-სთვის (ს/ნ: 402252156) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე. საკრ.№12-032604963-03 18/02/2026

9. ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. N85/24-ში მდებარე 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.022.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩინურისთვის" (ს/ნ 405446094) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-032604963-03 18/02/2026

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს" (ს/ნ: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკრ.№12-032604952-03 18/02/2026

11. „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელების თაობაზე. საკრ.№12-032604953-03 18/02/2026

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გელათი 95"-ს (ს/ნ: 206044804) (უფლებამონაცვლე - შპს „პლატინუმ ისანი" (ს/ნ: 405290983) შორის 2022 წლის 20 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე საკითხის მოწონების შესახებ.
საკრ.№12-032605080-03 19/02/2026

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ნუგზარ ნებიერიძესა (პ/ნ:01024005315) და შპს „ალიანსი სამგორს" (ს/კ: 405532794) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე საკითხის მოწონების შესახებ. საკრ.№12-032605088-03 19/02/2026

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, II კვარტალი, კორპუსი N5-ის მიმდებარედ არსებული 2800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.880) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-0326051113-03 20/02/2026

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს/ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ. საკრ.№12-0326051109-03 20/02/2026

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს/ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ. საკრ.№12-0326051109-03 20/02/2026

17. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.16.01.005.144; N01.16.01.005.145; N01.16.01.005.146; N01.16.01.005.147) და N01.00.580 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ხაზოვან ობიექტში (მიწისქვეშა გასასვლელი) არსებული გარკვეული ფართების მიმართ ზოგიერთი ღონისძიების გატარებისა და მითითებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე". საკრ.№12-03260542-03 23/02/2026

18. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი:

№01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. საკრ.№12-0326054169-03 23/02/2026

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ პირს - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) შორის ქ. თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57 573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2024 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ (ს/ნ 404566947) გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, N01.18.13.037.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75 500 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე...საკრ.№12-0326054172-03 23/02/2026

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

მომხსენელის განმარტებით ვაკის რაიონის გამგეობა გეგმავს ნაძვების ქუჩის მოწყობა-რეაბილიტაციას და შესაბამის პროგრამაში არ აქვს საკმარისი რესურსი. ამიტომ ქვეპროგრამიდან „გზების მშენებლობა და აღდგენა (პროგ/კოდი 01 01 01) – 1200 000 ლარის გადატანა ხდება ქვეპროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში.(პროგ/კოდი 01 01 12).

მომარეთვიანობიდან გამომდინარე იზრდება ქვეპროგრამის „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება „(პროგ/კოდი 06 02 05) – 150 000 ლარით, ასევე ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისათვის“ (პროგ/კოდი 08 06 07)ასიგნება - 150 000 ლარით.

პირველი კვარტლის გეგმის ასიგნებები იზრდება ქვეპროგრამებში:

„სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა“ (პროგ/კოდი 02 063) 250 000 ლარით

„თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 07 02 06 05) – 9020 ლარით. იზრდება ასევე სარეზერვო ფონის პირველი კვარტლის გეგმა 300 000 ლარით.

დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომმხრე-10

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კულტურის,განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები,ასევე ვაკისა და მთაწმინდის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი

ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუიდგინა ნინო ვაშაკიძემ.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის N26.23.12 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N2 განკარგულებების დანართი N1-ის, მე-6 ნომრად განსაზღვრულ პირს საკუთრებაში გადაეცა N01.11.03.009.008.01.507 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. აღნიშნულ განკარგულებებში დაშვებულ იქნა შეცდომა მითითებული საკადასტრო ერთეულის ფართობის ნაწილში. კერძოდ, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ამონაწერის თანახმად, აღნიშნული საკადასტრო ერთეული რეგისტრირებულია 66.15 კვ.მ ფართით, ხოლო დანართში მითითებულია 66.75 კვ.მ.

ვინაიდან, აღნიშნულ პირს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების თანახმად, საკუთრებაში გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში, მე-9 სართულზე არსებული 66.75 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008.01.507) , მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის N26.23.12 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება ამავე განკარგულების დანართი N1-ის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირისთვის გადაცემული N01.11.03.009.008.01.507 საკადასტრო ერთეულის ნაწილში.

ამასთან, აღნიშნული პროექტით შესათანხმებლად წარმოდგენილია, გასწორებული მონაცემებით, ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში, მე-9 სართულზე არსებული 66.15 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხი და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტი.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N29 / ხიდის ქუჩა N1 / ზვიად გამსახურდიას სანაპირო N58-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.004.01.574) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N29 / ხიდის ქუჩა N1 / ზვიად გამსახურდიას სანაპირო N58-ში, მეორე სართულზე არსებული 90.09 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.004.01.574) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1994 წლიდან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.066) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8დ-ში, მე-5 სართულზე არსებულ 19.50 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.066) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N330 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.306.01.07.330) და ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N34-ში მდებარე N75 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.031.01.01.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი არის თბილისში ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობის შესახებ.
თბილისის მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.017) თანამესაკუთრემ და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N330 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.306.01.07.330) და ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N34-ში მდებარე N75 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.031.01.01.075) თანასაკუთრებაში გადაცემა,
წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად პირთათვის საკუთრებაში გადაცემას (თითოეულისთვის - თითოეული ბინის 1/3 ნაწილის) და საპრივატიზებო პირობების სახით - მათ ფართზე რეგისტრირებული მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას და თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემას, ყადაღის და ვალდებულების გარეშე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N11-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.003.030) პირდაპირი განკარგვის წესით, ნელი გიორგობიანისთვის (პ/ნ: 01024000911) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N11-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი კიბის ფუნქციონირების მიზნით, იჯარით გადაცემა.
 მოთხოვნილ ტერიტორიაზე კიბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი მოთხოვნილი კიბის ფუნქციონირების მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.

თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მოთხოვნები.

საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს ასევე წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 296 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 392 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.029.055) 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის გადაცემის თაობაზე.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 392 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.029.055) 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 4 140 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 58 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიემჯი 555“-სთვის (ს/ნ: 402252156) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით,შპს „ჯიემჯი 555“-სთვის გადაეცემა თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, 58 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „ჯიემჯი 555“-ის სარგებლობაშია ქ.თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩა N6-ში, N01.18.03.046.006.01.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 100.76 კვ.მ ფართი.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია. სააგენტო არ არის წინააღმდეგი შპს „ჯიემჯი 555“-ს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 3 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის

შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 3 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 17 400 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „ჯიემჯი 555"-სთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 58 კვმ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) 5 წლის ვადით , იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 17 400 ლარით.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. N85/24-ში მდებარე 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.022.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩინურისთვის" (ს/ნ 405446094) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, შპს „ჩინურის" გადაეცემა ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. N85/24-ში მდებარე 56 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით , ღია კაფეს მოსაწყობად. კომპანია იჯარით ფლობს ზაქარია ფალიაშვილის ქ. N83.ილო მოსაშვილის ქ. N24-ში არსებულ ფართს, გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, 6 წლის ვადით.
სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი, ღია კაფეს მოსაწყობად.
სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიიჩნია 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების (ტროტუარზე შემომზღუდავი ელემენტების და ხის დეკის გარეშე) მიზნით, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35–ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.
წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 13 440 ლარის ოდენობით.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს" (ს/ნ: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ შპს ლიტ ჯეო ინვესტის"

შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება,რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

კომპანიას ნაწილობრივ დაუდასტურდა ხელშეკრულების 3.1. და 3.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება , ასევე, განთავისუფლდა ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან,.

მომხსენებელის განმარტებით, ს/კ: N01.10.07.007.122 მიწის ნაკვეთზე პირველადი მშენებლობის ნებართვა გაიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის ბრძანებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 16 იანვრიდან 2025 წლის 16 ივლისის ჩათვლით პერიოდი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის 20 ივნისს ბრძანებით გაიცა ახალი სამშენებლო ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 20 ნოემბრიდან 2027 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულების 3.6. პუნქტის შესაბამისად - „კომპანია ვალდებულია პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლის ვადაში.“ (2026 წლის 16 იანვარი).

კომპანიამ 2026 წლის 14 იანვრს განცხადებით, მიმართა სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილები. კერძოდ, კომპანია ითხოვს შეიცვალოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6 პუნქტი და მშენებლობის დასრულების ვადა გაგრძელდეს დამატებით 6 თვით და შესაბამისი შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვროს 3 წელი და 6 თვე (2026 წლის 16 იანვარი)., ვინაიდან გარკვეული მიზეზების გამო მშენებლობის პროცესში გამოვლინდა რიგი გარემოებები, რომლებმაც არსებითად იმოქმედა სამუშაოების განხორციელების ვადებზე. ამასთან, კომპანია ხაზგასმით განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხი სრულად წარმოადგენს მესამე პირის ვალდებულებას და არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. (აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია).

კომპანია ასევე განმარტავს, რომ მშნებლობის პროცესში საჭირო გახდა არქიტექტურის სამსახურში განმეორებითი მიმართვის აუცილებლობა, ვინაიდან, უსაფრთხოების მოთხოვნიდან გამომდინარე საჭირო გახდა პროექტის კორექტირება. ამასთან, კომპანიის დამატებითი განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს უწყვეტად და ამ დროისთვის დასრულებულია მშენებლობის მე-9 ეტაპი (წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების 3.6 პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის განხორციელების 3 (სამი) წლიანი ვადის გაზრდა დამატებით 6 (ექვსი) თვით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6. პუნქტის ყალიბდება შემდეგი შინაარსით:

„კომპანია ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებო(ბე)ბის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 3 (სამი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადაში.“

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელების თაობაზე.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს
გადაეცემა ქალაქ თბილისში, აეროპორტის N20 მიმდებარედ არსებული 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპიროზე არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ით, „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 2024 წლის 19 აპრილს დადებული ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, 20 835 ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გელათი 95“-ს (ს/ნ: 206044804) (უფლებამონაცვლე - შპს „პლატინუმ ისანი“ (ს/ნ: 405290983) შორის 2022 წლის 20 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე საკითხის მოწონების შესახებ.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გელათი 95“-ს , (უფლებამონაცვლე - შპს „პლატინუმ ისანი“) შორის 2022 წლის 20 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებაში“ და ხდება ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ნაწილისაგან (13.02.2026 წლის მდგომარეობით - 2 338 421.40 ლარის ოდენობით, რაც ზრდადია დღიურად 1798,20 ლარის ოდენობით, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე) შპს „პლატინუმ ისანის“ გათავისუფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 13 თებერვლის №26.220.238 განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ნუგზარ ნებიერიძესა (პ/ნ:01024005315) და შპს „ალიანსი სამგორს“ (ს/კ: 405532794) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე საკითხის მოწონების შესახებ.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, თბილისში, მოსკოვის გამზირი №9გ; ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №9ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ნუგზარ ნებიერიძეს (უფლებამონაცვლე - შპს „ალიანსი სამგორი“) შორის, გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება
ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, ქონების გადამცემი თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი/აშენებული შენობა-ნაგებობიდან საცხოვრებელი ფართების ნაწილს,

რომლის საერთო ფართობიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობის 4%-ის ოდენობით და შეადგენს საცხოვრებელ ფართს - არანაკლებ 383.824 კვ.მ.-ს

ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ქონების გადამცემი სააგენტოს წერილობით მიაწვდის ინფორმაციას, მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების რაოდენობისა და თითოეული უძრავი ქონების ფართობის შესახებ.

ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, გადასაცემ ქონებაზე, ქონების გადამცემის მიერ, საკუთრების უფლება, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, სააგენტოს გადაეცემა მიწის ნაკვეთზე არსებული მშენებარე მრავალბინიანი/მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ინდივიდუალური ფართების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის საფუძველზე, სააგენტოს მიერ შეთავაზების დადასტურებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად კი, ქონების გადამცემის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა (მათ შორის: ინდივიდუალური ფართების რეგისტრაციის, მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების) განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების გადამცემს ეკისრება პირგასამტეხლო, სააგენტოსთვის გადასაცემი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების (მშენებლობადასრულებული და ექსპლუატაციაში მიღებული მდგომარეობით) 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ქონების გადამცემს, ხელშეკრულების 2.2 პუნქტის გათვალისწინებით, სააგენტოსთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების შესახებ ინფორმაცია (ფართების შეთავაზება) უნდა წარედგინა არაუგვიანეს 2022 წლის 12 მაისისა. განსაზღვრული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით. ვადის დარღვევით შესრულდა ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება .ვალდებულებების ვადის დარღვევით შესრულებაზე კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო ჯამში 29 529.60 ლარი.

აღნიშნული თანხების გადახდევინების საკითხზე მხარეთა შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს შემდეგი სასარჩელო წარმოებები:

კომპანიის განმარტებით, სასარჩელო წარმოების ფარგლებში სარჩელის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ღონისძიება (საცხოვრებელი ბინების ნაწილის გასხვისების და განკარგვის აკრძალვა), ზიანს აყენებს კომპანიის ფინანსურ და რეპუტაციულ მდგომარეობას. შესაბამისად, კომპანიის მიერ შემოთავაზებულია პირგასამტეხლოს სახით 15 000 ლარის გადახდა, იმ პირობით, რომ ამ თანხის გადახდის შემთხვევაში, შეწყდება ზემოაღნიშნული სასარჩელო წარმოებები.

ნინო ვაშაკიძის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს აქვს უფლებამოსილება პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე და ამ უფლების გამოყენება წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. შესაბამისად, განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლოს პრაქტიკას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

ამასთან, მხარეთა შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო დავების შეთანხმების გზით დასრულების მიზნით, გაფორმდა შეთანხმების პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ხდება კომპანიის განთავისუფლება მათზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ნაწილისგან (14 529.60 ლარის ოდენობით), განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, II კვარტალი, კორპუსი N5-ის მიმდებარედ არსებული 2800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.880) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე #1 კორპუსის მიმდებარედ, საბურთალოს გამგეობის დაკვეთით მოეწყო რეკრეაციული სივრცე, რომლის მომიჯნავედ მიწის ნაკვეთი არის კერძო საკუთრებაში. სპორტული/სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნით განიხილება კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა.
მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალიტეტის ინტერესბიდან გამომდინარე, საბურთალოს გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე,სააგენტოს მიერ მოძიებული იქნა 2800 კვმ მიწის ნაკვეთი, ქალაქ თბილისში,ჩოლოყაშვილის ქუჩაზე II კვარტლის კორპ.№5 ის მიმდებარედ და შეთავაზებული იქნა კერძო მესაკუთრისათვის, მის საკუთრებაში არსებული ,თბილისში ფარნავაზ მეფის გამზირი #6-ში მდებარე 4200 კვმ მიწისწ ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, რაზედაც კომპანიამ თანხმობა განაცხადა.
საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 229 600 ლარი.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით, ზოგიერთ ჩასანაცვლებელ ქონებაზე შეწყდა სარგებლობის უფლება და მათ ნაცვლად კომპანიას გადაეცა ალტერნატიული ქონებები. ხოლო, იმ ჩასანაცვლებელი ქონებებისთვის, რომლებზეც შეწყდა სარგებლობის უფლება, თუმცა კომპანიას არ გადასცემია ალტერნატიული ქონებები, შეთანხმებაში განისაზღვრა შეთანხმების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში ალტერნატიულ ქონებებზე მხარეთა შორის შეთანხმებისა და ამ ალტერნატიული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესაძლებლობა. წინამდებარე პროექტით, მხარეს გადაეცემა ალტერნატიული ქონებები იმ ჩასანაცვლებელი ქონებების სანაცვლოდ, რომლებზეც სარგებლობის უფლება შეწყდა შეთანხმებით.
წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილება: იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი (ხელშეკრულების №1 დანართი). ცვლილების შესაბამისად, ჩასანაცვლებელი ქონებების სანაცვლოდ, კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები 5 ლოკაციაზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-

2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი, წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში ცვლილების შესაბამისად, ჩასანაცვლებელი ქონებების სანაცვლოდ, კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონება 1 ლოკაციაზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.16.01.005.144; N01.16.01.005.145; N01.16.01.005.146; N01.16.01.005.147) და N01.00.580 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ხაზოვან ობიექტში (მიწისქვეშა გასასვლელი) არსებული გარკვეული ფართების მიმართ ზოგიერთი ღონისძიების გატარებისა და მითითებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვემოთ აღნიშნული უძრავი ნივთების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე:
ა) ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.01.005.144);
ბ) ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურის წინ, მიწისქვეშა მოედანზე არსებული 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.01.005.145);
გ) ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურის წინ, მიწისქვეშა მოედანზე არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.01.005.146);
დ) ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე არსებული 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.01.005.147);
ე) ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე N01.00.580 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ხაზოვან ობიექტში (მიწისქვეშა გასასვლელი) არსებული ფართები: N2-დან N29 ფართის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N26.280.323 განკარგულების დანართის შესაბამისად.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით,სარგებლობის უფლებით, 10 წლის ვადით გადაეცა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაცას“.

მთავრობის განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონათხოვრე ვალდებულია მოძრავი ქონების გამოყენებით უზრუნველყოს №01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არსებული ტრიბუნების ტევადობის გაზრდა და გადახურვა, რისთვისაც უნდა განახორციელოს გარკვეული ოდენობის ხარჯის გაწევა.
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მონათხოვრემ განცხადებით მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 1880 კილოგრამის ოდენობის ჯართისა (სხვადასხვა ზომის მილკვადრატები) და ორი ერთეული რკინის მოაჯირის (1x2 მეტრზე) დამატებით გადაცემა. მათი განმარტებით, აღნიშნული მასალა გამოყენებული იქნება ტრიბუნებისა და ფოტოვიდეოგადამღები ოპერატორების კომკურების მოწყობის სამუშაოების ფარგლებში.
წარმოდგენილი პროექტიტ ცვლილების ფარგლებში მონათხოვრეს თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით დამატებით გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1880 კილოგრამის ოდენობის ჯართი (სხვადასხვა ზომის მილკვადრატები) და ორი ერთეული რკინის მოაჯირი (1x2 მეტრზე).
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ პირს - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) შორის ქ. თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57 573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2024 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ (ს/ნ 404566947) გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, N01.18.13.037.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75 500 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
ნინო ვაშაკიძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით თანხმობა ეძლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ პირს - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ შორის ქ. თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57 573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2024 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, N01.18.13.037.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75 500 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 23 თებერვლის N26.295.335 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ზე მდებარე 75 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N N01.18.13.037.287) გაცვლის ფორმით, პრივატიზებაზე, შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ საკუთრებაში არსებული, ჯამურად 57 573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთ(ებ)ის (ს/კ: 01.17.02.001.714; 01.17.02.001.715; 01.17.02.001.716)

(წინა საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 4-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე